



მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიკური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1936 წ. ივლისის 20

№ 15

თბილისი.

შ ი ნ ა ა რ ს ი

სახელმწიფო წყობილება.

87. საქართველოს სსრ შრომის წითელი დროშის ორდენის სტატუტის მე-12,13 და 14 მუხლების შეცვლის შესახებ.

მშენებლობა.

88. სამშენებლო საქმის გაუმჯობესების შესახებ.

89. აფხაზეთის ასსრ-ში სახელმწიფო სამშენებლო ტრესტის მოწყობის შესახებ.

მიწის, ტყის და წყლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობა.

90. 1936 წლის საგაზაფხულო თვისისა და გაზაფხულზე მრავალწლიან ნარგავთა გაშენების სახელმწიფო გეგმების შესახებ.

ვეტერინარია.

91. საქართველოს სსრ-ში ეპიზოოტიკის მზრით არაკეთილსაიმედო ადგილებში კარანტინის დადგენის წესის შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

92. კოლექტიური მეურნეობების მიერ—კონტრაქტაციის წესით და საბჭოთა მეურნეობების მიერ—სახელმწიფო გეგმების წესით სამყურაბა-ღაღის თესლის საველდებულო ჩაბარების შესახებ.

განათლება.

93. პროლეტარული ტურიზმის, ალბინიზმისა და ექსკურსიების საქართველოს საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ.

სისხლის სამართალი.

94. სისხლის სამართლის კოდექსის 84 მუხლის პირველი ნაწილის შეცვლის შესახებ.

სახელმწიფო წყობილება

87. დადგენილება ც.ა.კ.

საქართველოს სსრ შრომის წითელი დროშის ორდენის სტატუტის მე-12,13 და 14 მუხლების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:
I. საქართველოს სსრ შრომის წითელი დროშის ორდენის სტატუტში (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-7 №-ი, მუხ. 54, შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

საქართველოს
სსრკ-ის

1. მე-12 მუხლი მიღებულ იქნას შემდეგი რედაქციით:
„12. საქართველოს სსრ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვებულს ეძლევა რესპუბლიკანური ბიუჯეტიდან ყოველთვიურად ხუთმეტი მანეთი. ამ თანხის გაცემის წესს ამყარებს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი“.

2. მე-13 მუხლის „ა“, „დ“ და „ვ“ პუნქტები გაუქმებულ იქნას.

3. მე-14 მუხლიდან ამოშლილ იქნას მე-13 მუხლის „ა“ და „ვ“ პუნქტებზე მინიშნება.

II. დადგენილება ესე შემოღებულ იქნას სამოქმედოდ 1936 წ. აპრილის 1-დან.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. ჟღენტი.

1936 წ. აპრილის 15. № 133.

ტფლისი.

მ შ ე ნ ე ბ ლ ო ბ ა

88. დადგენილება ს. კ. ს.

სამშენებლო საქმის გაუმჯობესების შესახებ.

„სამშენებლო საქმის გაუმჯობესებისა და მშენებლობის გაიაფების შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საქავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წ. თებერვლის 11-ის დადგენილებასთან (სსრკ კან. კრ. 1936 წ. № 9, მუხ. 70) და „საშენი მასალის და სამშენებლო დეტალების წარმოების გაიაფების შესახებ“ გამოცემული, შრომისა და თავდაცვის საბჭოს იმავე თარიღის დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სანარდო სამშენებლო ორგანიზაციების გამსხვილებისა და განმტკიცების შესახებ.

1. რესპუბლიკანური და ადგილობრივი ქვემდებარეობის კაპიტალური მშენებლობის სამუშაოთა წარმოების სანარდო წესით მოცვის ოდენობა 1936 წლის გეგმით განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით:

- ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით . 65%
- კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის ხაზით . . 70%
- ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ხაზით 60%
- განათლების სახალხო კომისარიატის ხაზით 65%
- შინავეჯრობის სახალხო კომისარიატის ხაზით 60%

2. რესპუბლიკანური და ადგილობრივი ქვემდებარეობის მშენებლობის სანარდო წესით განხორციელებისათვის დადგენილ იქნას რესპუბლიკანური სამშენებლო ტრესტების შემდეგი ქსელი (არსებულთა ნაცვლად), მშენებლობის მოცვით აგრეთვე აფხაზეთის ასსრ-ში, აჭარის ასსრ-ში და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ შემუშავებული მათი 1936 წლის სამუშაოების პროგრამის თანახმად:

ა) საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში დატოვებულ იქნას სახელმწიფო სამრეწველო-სამშენებლო ტრესტი „საქქარხმენი“, რომელიც აერთიანებს ახალ სამრეწველო საწარმოთა მშენებლობისა და არსებულ საწარმოთა რეკონსტრუქციისათვის საჭირო მთელ მუშაობას—1936 წელს სამუშაოთა მოცულობით 38 მილ. მან. თანხამდე; აქედან რესპუბლიკანური და ადგილობრივი მრეწველობის ხაზით—21 მილ. მან. ტრესტი „სანტქმშენი“ შეერთვას „საქქარხმენს“ სამეურნეო ანგარიშზე მყოფი მისი კონტორის სახით სანტექნიკურ სამუშაოთა საწარმოებლად სამრეწველო მშენებლობაში;

ბ) კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის სისტემაში მოეწყოს სახელმწიფო სამშენებლო ტრესტი „საქმშენი“—არსებული სამშენებლო ტრესტების „საქმშენისა“, „საქკომუნმშენისა“ და „საქვაქარმშენის“ ბაზაზე, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე კომუნალური, საბინაო, საადმინისტრაციო და სოციალ-კულტურული მშენებლობის განსახორციელებლად—1936 წელს სამუშაოთა მოცულობით 40 მილ. მან. თანხამდე, აქედან რესპუბლიკანური და ადგილობრივი ქვემდებარეობისა—33,5 მილ. მან. თანხამდე; „ცეკავშირის“ სისტემაში მყოფი ტრესტი „საქკოპმშენი“ ლიკვიდირებულ იქნას და მისი მშენებლობის ობიექტები გადაეცეს ტრესტ „საქმშენს“; მოეწყოს „საქმშენის“ სისტემაში სამეურნეო ანგარიშზე მყოფი კონტორა სავაჭრო სადგომების (მაღაზიების) მშენებლობის, გაწყობისა და გაფორმების სამუშაოთა ჩასატარებლად;

გ) საქართველოს სსრ-ში საკურორტო მშენებლობის განხორციელება დაეკისროს სახელმწიფო სამშენებლო ტრესტს „ა/კმშენს“—1936 წელს სამუშაოთა საერთო მოცულობით 29 მილ. მან. თანხამდე; აქედან რესპუბლიკანური და ადგილობრივი ქვემდებარეობისა—16,5 მილ. მან. თანხამდე;

დ) დადასტურებულ იქნას ტფილისის სანქალაქო საბჭოს სისტემაში სამშენებლო ტრესტების მოწყობა: „ტფილმშენისა“—საბინაო, საადმინისტრაციო, სასკოლო და სამკურნალო მშენებლობის განსახორციელებლად—1936 წელს სამუშაოთა მოცულობით 28 მილ. მან. თანხამდე, და საინჟინერო ნაგებობათა ტრესტისა—1936 წელს სამუშაოთა მოცულობით 30,5 მილ. მან. თანხამდე.

3. აეკრძალოს განსაზოგადოებული სექტორის ორგანიზაციებს კაპიტალური მშენებლობის სამეურნეო წესით წარმოება.

ნებადართულ იქნას, ცალკეულ შემთხვევებში, სამრეწველო მშენებლობის სფეროში სამშენებლო სამუშაოთა სამეურნეო წესით წარმოება საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სანქციით თვითივე

ცალკე შემთხვევაში, ხოლო იმ პირობით-კი, რომ ობიექტის ღირებულება არ აღემატებოდეს 100 ათას მანეთს.

სხვა სახის მშენებლობის იმ სამშენებლო სამუშაოთა სიას, რაც სამეურნეო წესით წარმოებს, ამტკიცებს ყოველ წელს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო—სათანადო სახალხო კომისარიატებისა და ცენტრალური რესპუბლიკანური დაწესებულებების და ორგანიზაციების წარდგენით.

4. ვიდრე გამოირკვეოდეს, სამშენებლო ორგანიზაციების 1935 წლის დამტკიცებული საფინანსო ანგარიშებისა და ბალანსების საფუძველზე, საქართველოს სსრ სამშენებლო ტრესტების საკუთარ საბრუნავ სახსართა გარღვევების ზედმიწევნითი ოდენობა, გადადებულ იქნას საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტიდან იმ თანხების დამატებად, რაც სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია სამშენებლო ორგანიზაციების საბრუნავ სახსართა შესავსებად არასამრეწველო მშენებლობის ხაზით, „საქმუნის“ ამ საკიროებისათვის 1 მილ. მანეთი, შემცირდეს-რა, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ზემოაღნიშნული 1936 წ. თებერვლის 11-ის დადგენილების მე-III კარის მე-3 მუხლის თანახმად, არასამრეწველო მშენებლობის რესპუბლიკანური ობიექტების კაპიტალდაბანდებანი 1.135 ათასი მანეთი და საბიუჯეტო დაფინანსების რაოდენობა—1.011 ათასი მანეთით განსაკუთრებული სიის თანახმად.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს—უზრუნველყოს აღნიშნული თანხის „საქმუნისათვის“ მიცემა 1936 წ. მეორე კვარტალში და შეიტანოს სათანადო ცვლილებანი სახელმწიფო ბიუჯეტის ასრულების კვარტალური საკასო გეგმაში.

5. საქართველოს სსრ სამშენებლო ტრესტების სამშენებლო მექანიზმთა და სატრანსპორტო საშუალებათა პარკის გასაძლიერებლად, რათა ამ ტრესტებისათვის დამტკიცებული 1936 წლის პროგრამის საფუძველზე გაძლიერებულ იქნას სამშენებლო სამუშაოების მექანიზაცია, აღიძრას, ა/კატსრ სახალხო კომისართა საბჭოს მეშვეობით, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის წინაშე საკითხი სამშენებლო მექანიზმებისა და ავტოტრანსპორტის დამატებითი ფონდის გამოყოფის შესახებ.

6. წინადადება მიეცეს იმ ორგანიზაციებს, რომლებიც მიმდინარე წელს კაპიტალურ მშენებლობას სანარდო წესით აწარმოებენ,— გადასცენ სათანადო სამშენებლო ტრესტებს მათთვის გამოყოფილი საშენი მასალისა და სატრანსპორტო საშუალებათა ფონდები.

7. წინადადება მიეცეს ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატებს—დაამუშაონ საკითხი, რათა ტფილისში მოწყობილ იქნას:

ა) სპეციალური კურსები ტექნიკური გასასვლელად იმ მუშათა მუდკივი კადრების არა ნაკლებ 30-35%-ის მიერ, რომელნიც მომსახურეობას უწევენ მექანიზმებს, რომელნიც მუშაობენ რკინის კონსტრუქციების მონტაჟზე და აგრეთ-

ვე მექედლების, ზეინკლების, ელექტრო-მონტიორების, მეარმატურების, ტურბინების, ხუროების, კალატოზების, მღესავეების, მღებავების, სამომთავებლო სამუშაოთა, ოსტატებისა და სხ.;

ბ) სოციალისტური შრომის ოსტატთა სპეციალური კურსები მუშა-სტა-ხანოველებისათვის;

გ) კურსები ცალკეული სახის სამშენებლო სამუშაოთა ოსტატების (ათის-თავი) მოსამზადებლად (სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში).

8. წინადადება მიეცეს ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატებს—შემოიტანონ ერთი თვის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატთა საბჭოში თავიანთი წინადადებანი სამშენებლო დეტალების და კონსტრუქციების წარმოების მოწყობის და გაფართოების შესახებ ისეთი რაოდენობით, რაც საჭიროა სამშენებლო ტრესტების სამშენებლო ბაქნების მომსახურებისათვის.

9. წინადადება მიეცეს ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატებს—შემოიტანონ ორი დეკადის ვადაზე სამშენებლო ტრესტებში 1936 წელს შრომის ნაყოფიერების გეგმა (ცალკეული სახის სამუშაოთა და სამშენებლო ობიექტთა მიხედვით) და წარმოუდგინონ იგი დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატთა საბჭოს.

10. „საქქარხმშენის“ მუშათა მუდმივი კადრისათვის საცხოვრებელი ფართობის უზრუნველსაყოფად გამოყოფილ იქნას 1936 წელს საექსპლოატაციოდ გადასაცემ საბინაო ფონდიდან ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით ქალ. ტფილისში 620 კვ. მეტრის და ქალ. ქუთაისში—550 კვ. მეტრის ოდენობით

ეთხოვოს სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს—გამოყოს სათანადო საცხოვრებელი ფართობი მშენებელ მუშათათვის 1936 წელს საექსპლოატაციოდ გადასაცემი, ჭიათურის შავიქვის ტრესტისა და ფერომაზგანეცის ქარხნის საცხოვრებელი ფონდიდან.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს—წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატთა საბჭოს თავისი მოსაზრებანი საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის ხაზით 1936 წელს საექსპლოატაციოდ გადასაცემი საცხოვრებელი ფონდიდან ტრესტი „საქმშენის“ მშენებელ-მუშათათვის 1936 წელს საცხოვრებელი ფართობის გამოყოფის შესაძლებლობის შესახებ.

11. წინადადება მიეცეს რესპუბლიკანურ სამშენებლო ტრესტებს—ჩაატარონ დიდრონი საშენებლების სამშენებლო ბაქნებზე უფრო შრომატევადი სამშენებლო სამუშაოების მექანიზაცია შემდეგი ოდენობით: ა) ტრესტ „საქქარხმშენის“ ხაზით მექანიზებულ იქნას მიწის სამუშაოების 50%, ლორდის მსხვრევა—75% და ტრანსპორტირება—50%, ბეტონის განმზადება და ტრანსპორტირება—60%; ბ) ტრესტ „საქმშენის“ ხაზით მექანიზებულ იქნას მიწის სამუშაოების 40%,

ბეტონის განმზადება და ტრანსპორტირება—75%, საარმატურო სამუშაოებში—80%, დასაგები ფიცრის განმზადება—50%, ხის დეტალების დამზადება (კარფანჯარა)—75% და საზეინკლო-მექანიკური სამუშაოები—50%, აგრეთვე მექანიზებულ იქნას საპირნაკეთო ქვების დამუშავება: ხერხვა—100% და ხეხვა—75%.

წინადადება მიეცეს ტფილისის საქალაქო საბჭოს—განახორციელოს ანალოგიური ღონისძიებანი მის ქვემდებარე სამშენებლო ტრესტებში.

II. მშენებლობის პროექტირების მოწესრიგების შესახებ.

12. არსებული საპროექტო ორგანიზაციები რეორგანიზებულ იქნას შემდგენიარად:

ა) დატოვებულ იქნას ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში სამრეწველო მშენებლობის პროექტირებისა და წამოწყებათა რეკონსტრუქციისათვის ტრესტი „საქსახპროექტი“;

ბ) საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის სისტემაში არსებული ტრესტი „საქკომუნპროექტი“ გაერთიანებულ იქნას სამშენებლო ტრესტის „საქმშენის“ საპროექტო განყოფილებასთან და მოეწყოს მათ ბაზაზე ტრესტ „საქმშენის“ შედგენილობაში სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საპროექტო კონტორა საპროექტო სამუშაოების წარმოებისათვის არასამრეწველო მშენებლობაში;

გ) საკურორტო მშენებლობის პროექტირება გადაეცეს საესებით ტრესტ „ა/კმშენის“ საპროექტო კონტორას;

დ) დატოვებულ იქნას მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან საპროექტო ორგანიზაცია „საქსოფმეურპროექტი“;

ე) ნება დაერთვას ტფილისის საქალაქო საბჭოს—იქონიოს თავის სისტემაში საპროექტო ორგანიზაცია ტფილისის საბჭოს მიერ განსახორციელებელი არასამრეწველო მშენებლობის პროექტირებისათვის;

ვ) ყველა დანარჩენი რესპუბლიკანური და ადგილობრივი საპროექტო ორგანიზაცია (მათ შორის ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში მოქმედი) ლიკვიდირებულ იქნას.

13. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის დაამუშაოს ა/წ აპრილის 13-თვის საკითხი წვრილი სამშენებლო ობიექტებისა და სასკოლო მშენებლობის პროექტირების წესის შესახებ.

14. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საქავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წ. თებერვლის 11-ის დადგენილების მე-IV კარის მე-2 მუხლის შესაბამისად, წინადადება მიეცეს კაპიტალური მშენებლობის მწარმოებელ ყველა ორგანიზაციას—გადასინჯოს საპროექტო ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებანი 1936 წელს მშენებლობის ობიექტების პროექტირების შესახებ და შეუთანხმოს ეს ხელშეკრულებანი საპროექტო სამუშაოებისათვის დადგენილი ღირებულების ნორმებს.

15. მიენდოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგვემო კომისიას, ადგილობრივი მრეწველობის, კომუნალური მეურნეობის, მიწათმოქმედების, ჯანმრთელობის და განათლების სახალხო კომისარიატებთან ერთად, დააწესოს პროექტირების ღირებულების ნორმები 500 ათასი მან. ნაკლები ღირებულების რესპუბლიკანური და ადგილობრივი ქვემდებარეობის ობიექტებისათვის.

16. საპროექტო სამუშაოების ღირებულების მაქსიმალურად შემცირებისათვის წინადადება მიეცეს ადგილობრივი მრეწველობის, კომუნალური მეურნეობის, მიწათმოქმედების, ჯანმრთელობის, განათლებისა და შინავაჭრობის სახალხო კომისარიატებს—გამოარკვიონ ერთი თვის ვადაზე მშენებლობის ის ობიექტები, რაც განხორციელებულ უნდა იქნას ტიპური პროექტების მიხედვით, ამისათვის საუკეთესო ტიპური პროექტების გამოყენებით.

აღნიშნული ობიექტების სიები წარმოუდგინონ დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

17. წინადადება მიეცეს წინა მუხლებში აღნიშნულ სახალხო კომისარიატებს—გადასინჯონ 1936 წელს განსახორციელებელი მშენებლობის ობიექტების ხარჯთაღრიცხვები ზედნადები ხარჯების ნაწილის მხრით და ეს ხარჯები სავსებით შეუთანხმონ იმ ნორმებს, რაც დაწესებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ზემოაღნიშნული, 1936 წ. თებერვლის 11-ის დადგენილებით. წინადადება მიეცეს ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატებს—გადასინჯონ ორი დეკადის ვადაზე მშენებლობის ზედნადები ხარჯების ნორმები მათი შემცირების თვალსაზრისით და წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სათანადო მოხსენება.

18. წინადადება მიეცეს სახელმწიფო საგვემო კომისიას—წარმოუდგინოს ხუთმეტრი დღის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად 1936 წლის საძიებლო და საპროექტო სამუშაოების სატიტულო სიები.

III. საშენი მასალის წარმოების გაიაფების შესახებ.

19. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს:

ა) წარუდგინოს ათი დღის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად რესპუბლიკანური და ადგილობრივი ქვემდებარეობის წამოწყებათა და სარეწაო კოოპერაციისა და სხვა ორგანიზაციების წამოწყებათა მიერ წარმოებული საშენი მასალის 1936 წელს თვითღირებულების შემცირების გეგმა და დასახოს თვითღირებულებისა, —გაწყობილობის ტიპისა, საშრობი და სატრანსპორტო მეურნეობის მდგომარეობისა და წარმოების მექანიზაციის ოდენობის მიხედვით, —პროდუქციის თვითღირებულების კონკრეტული რაოდენობა, უზრუნველყოს-რა პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, საშუალოდ, საშენი მასალის ცალკეული ჯგუფებისათვის ისეთი რა-

ოდენობით, რაც აღნიშნულია შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1936 წ. აპრილის 11-ის დადგენილებაში „საშენი მასალისა და სამშენებლო დეტალების წარმოების გაიაფების შესახებ“;

ბ) შეამოწმოს ა/წ აპრილის 15-მდე საშენი მასალის მწარმოებელი ყველა წამოწყების შტატები და შეამცროს 1936 წელს ამ წამოწყებათა საადმინისტრაციო სამმართველო ხარჯები არა ნაკლებ, ვიდრე 25 %-ით 1935 წლის ფაქტიურ ხარჯებთან შედარებით;

გ) შეიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი, რაც უზრუნველყოფს როგორც რესპუბლიკანური, ისე რაიონული, მრეწველობის აგურის ქარხნების ჰოფმანის ლუმელთა ნაყოფიერების გადიდებას ისეთი ვარაუდით, რომ 1936 წელს ლუმელის მოცულობის თითო კუბო მეტრზე ამოსაღები აგურის რაოდენობა მიღწევიანებულ იქნას 1.150 ცალამდე თვეში;

დ) განსაზღვროს რესპუბლიკანური და ადგილობრივი ქვემდებარეობის თვითიწარმოების წამოწყებისათვის საშრობთა ბრუნვადობის ვადები ისეთი ვარაუდით, რომ იგი გადიდებულ იქნას არა ნაკლებ, ვიდრე 25 %-ით.

20. მიენდოს საქართველოს სსრ სახელმწიფო სავეგმო კომისიას—წარმოუდგინოს ხუთი დღის ვადაზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ საშენი მასალის მრეწველობისათვის გამოყოფილი დამატებითი ასიგნებების განაწილების პროექტი.

21. წინადადება მიეცეს „სარეწაო კავშირს“—აღძრას სრულიად საკავშირო სარეწაო კოოპერაციის საბჭოს წინაშე საკითხი დამატებითი ასიგნების გამოყოფის შესახებ საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის საშენი მასალის მწარმოებელ წამოწყებათათვის საჭირო კაპიტალურ დანახარჯთა.

22. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ადგილობრივი მრეწველობის ორგანოებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს, აგრეთვე თავიანთ სისტემაში საშენი მასალის მწარმოებელ წამოწყებათა მქონე ორგანიზაციებს—განახორციელონ 1936 წ. მაისის 1-მდე ამ საწარმოთა მუშების შრომის სასყიდლის პროგრესიულ-ნაჭრობით გადახდა და ოსტატების, ტექნიკოსების, ინჟინრების და ხელმძღვანელი პერსონალის შრომის სასყიდლის პროგრესიულ-პრემიალურად გადახდა.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. მდივანი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მოადგ. ს. მებუკე.

1936 წ. აპრილის 3. № 361.

ტფილისი.

89. დადგენილება ს.კ.ს.

აფხაზეთის ასსრ-ში სახელმწიფო სამშენებლო ტრესტის მოწყობის შესახებ.

„სამშენებლო საქმის გაუმჯობესების შესახებ“ გამოცემული, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. აპრილის 3-ის თარიღისა და 361 №-ის დადგენილების მე-2 და მე-12 მუხლების შესაცვლელად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნება დაერთვას აფხაზეთის ასსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—მოაწყოს უშუალოდ თავის გამგებლობაში აფხაზეთის ასსრ-ში არსებული სამშენებლო ორგანიზაციებისა (სოხუმის საქალაქო საბჭოს და აფხაზეთის საკურორტო სამმართველოს სამშენებლო კონტორებისა და აფხაზეთის მთავრობის სახლის მშენებლობის კონტორის) და აგრეთვე აფხაზეთის ასსრ-ში არსებული საპროექტო ორგანიზაციების ბაზაზე—სახელმწიფო სამშენებლო ტრესტი—აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე კომუნალური, საბინაო, საადმინისტრაციო, საკურორტო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის განხორციელებისათვის, აგრეთვე მშენებლობის სათანადო ობიექტების პროექტირებისათვის.

2. მიენდოს აფხაზეთის ასსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს—დამტკიცოს ზემოაღნიშნული ტრესტის წესდება და მიაკუთვნოს ამ ტრესტს სათანადო საბრუნავი სახსარი იმ წყაროებიდან, რაც გათვალისწინებულია „სამშენებლო საქმის გაუმჯობესებისა და მშენებლობის გაიაფების შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წ. თებერვლის 11-ის დადგენილების მე-III კარის მე-3 მუხლით (სსრკ კან. კრ. 1936 წ. მე-9 №-ი, მუხ. 70).

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველის მოადგ. ს. მეზუკე.

1936 წ. მაისის 7. № 465.

ტფილისი.

მიწის, ტყის და წყლის მეურნეობა. სოფლის მეურნეობა.

90. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ. (ბ) ც.კ.

1936 წლის საგაზაფხულო თესვისა და გაზაფხულზე მრავალწლიან ნარგავთა გაშენების სახელმწიფო გეგმების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნას 1936 წელს საქართველოს სსრ-ში საგაზაფხულო თესვის გეგმა 678,8 ათასი ჰექტარის რაოდენობით და წარსული წლების ბალა-

ხის სათიბი ფართობი 11,0 ათასი ჰექტარის რაოდენობით, სულ-კი—689,310 ჰექტარი; აქედან: ა) საბჭოთა მეურნეობებსა და მუშათა მომარაგების განყოფილებების მეურნეობებში—28,2 ჰექტარი (ამ რიცხვში—მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემის ხაზით 14,1 ათასი ჰექტ.), ბ) კოლექტიურ მეურნეობებში—381,9 ათასი ჰექტარი (აქედან იმ მეურნეობებში, რომელთაც მომსახურებას უწევენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები—240,0 ათასი ჰექტ.) და გ) ერთბიროვნულ მეურნეობებში და კოლმეურნეთა საკარმიდამო მიწებზე (ბოსტნები, კარტოფილი) 279,7 ათასი ჰექტ.

2. დამტკიცებულ იქნას აღნიშნული გეგმის შემდეგი ვანაწილება კულტურებსა და სექტორებზე (იხ. დანართი № 1).

3. „სახვიშფონდის“ სათესლე ნათესების ფართობი: საბოსტნე, საქონლის საკვებისა და ზეთოვანი კულტურებისათვის განისაზღვროს კოლექტიურ მეურნეობებში 4.000 ჰექტ. რაოდენობით; აქედან 1936 წელს სათესი—2.800 ჰექტ. და წარსული წლების სათესლე ბალახი—1.200 ჰექტ.

4. დამტკიცებულ იქნას 1936 წლის გაზაფხულისათვის საქართველო სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში და კოლმეურნეთა საკარმიდამო მიწებზე მრავალწლიანი ნარგავების ჩაყრის და რემონტის გეგმა (იხ. დანართი № 2).

5. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი, საგაზაფხულო კულტურების თესვისა და მრავალწლიანი ნარგავთა ჩაყრისა და რემონტის რაიონზე განაწილების გეგმა მიღებულ იქნას.

6. გეგმა მრავალწლიანი ნარგავთა ჩაყრისა იმ საბჭოთა მეურნეობებში და იმ მეურნეობებში, რომლებიც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემის გარეშე იმყოფებიან, დამტკიცებულ იქნას შემდეგი რაოდენობით (ჰექტარობით):

კულტურები	სულ	ა ქ ე დ ა ნ		
		საქართვე- ჩაი	ხილბოსტ. კონსერვ- ტრესტი	ტუნგოტრე- სტი
ციტრუსოვანი	94	40	54	—
სუბტროპიკული ხილი	4	—	4	—
ტუნგო.	540	400	—	140
ვეროპული ხილი	10	—	10	—

7. სახელმწიფოს კოლექტიური მეურნეობანი და ერთბიროვნული მეურნეობანი მარცვლეულს ჩააბარებენ მარცვლეულის საგაზაფხულო ნათესის მთელი ფართობიდან, ხოლო არა ნაკლებ, ვიდრე 1936 წელს საგაზაფხულო თესვის სახელმწიფო გეგმით განსაზღვრული ფართობიდან.

8. 1936 წ. გაზაფხულიდან შემოღებულ იქნას თესლბრუნვა ქუთაისისა, სამტრედიისა, ვანისა, აბაშისა, სენაკისა, მარტვილისა, მახარაძისა და ლანჩხუთის რაიონების 30 კოლექტიურ მეურნეობაში.

წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ-ისა, აჭარის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის სამიწათმოქმედო ორგანოებს, სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს და სამანქანო-სიტრაქტორო სადგურებს განსაზღვრონ ყველა იმ კოლექტიური მეურნეობისათვის, სადაც დაწესებულია თესლბრუნვა, თესლბრუნვაზე გადასვლისა და საგაზაფხულო კულტურების დადგენილი თესლბრუნვის მიხედვით თესვის გეგმა; ამასთანავე უნდა უზრუნველყონ აგრეთვე თესვისა და ნასვენის ხვნის გეგმის ასრულება.

9. ყველა იმ მოუხენელ ფართობზე, რომელიც დანიშნულია საგაზაფხულო თესვისათვის, ჩატარებულ იქნას ადრეული ხვნა, დამთავრებულ იქნას რა იგი საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილ ვადებზე.

10. ბრიგადირ-მემინდვრეებისაგან თესვის წინ ნიადაგის გამზადებისა და თესვის სამუშაოების თვისებითი მიღება დაეკისროთ: კოლექტიურ მეურნეობებში—კოლექტიური მეურნეობების თავმჯდომარეებს, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში—უფროს აგრონომებს და განყოფილებათა გამგეებს.

11. ჩატარებულ იქნას ნახნავის ჩალამვა წყლის მიშვებით არა ნაკლებ, ვიდრე 2.200 ჰექტარ ფართობზე: ქუთაისისა, სამტრედიისა, ხონისა, ვანისა, ჯულელისა და მარტვილის რაიონებში, და ლამის შეტანით—არა ნაკლებ, ვიდრე 680 ჰექტარ ფართობზე: ქუთაისისა, სამტრედიისა, ხონისა, ვანისა, ჯულელისა, ტყიბულისა, აბაშისა, მარტვილისა, ზუგდიდისა და ლანჩხუთის რაიონებში. შესატანი ლამის ნორმა განისაზღვროს არა ნაკლებ 200 ტონისა ერთ ჰექტარზე.

12. ქუთაისისა, მიხა ცხაკაიას, მარტვილისა, ზუგდიდისა, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონებში იმ ნიადაგისათვის, რომელიც საჩაიოდ არ ვარგა და დანიშნულია სიმინდის სათესად, უზრუნველყოფილ იქნას ტკილის შეტანა არა ნაკლებ, ვიდრე 650 ჰექტარ ფართობზე, ისეთი ვარაუდით, რომ თითო ჰექტარზე მოდიოდეს არა ნაკლებ 100 ტონისა.

13. წყალსარინის უზრუნველსაყოფად მოწყობილ იქნას დაბლობ ნაკვეთებზე სადრენაჟო ქსელი 10.800 ჰექტარ ფართობზე: სამტრედიისა, ზუგდიდისა, ჯულელისა, აბაშისა, მიხა ცხაკაიას, ხობისა, მახარაძისა, ლანჩხუთისა, ჩოხატაურისა და ფოთის რაიონებში და აფხაზეთის ასსრ-ში.

ტექნიკური ხელმძღვანელობის გაწევა ამ ქსელის მოწყობისათვის დაეკისროს სარაიონო წყალთა მეურნეობებს. ამასთან ერთად, წყლის გაჩერების თავიდან ასაცილებლად, გაყვანილ იქნას დასავლეთ საქართველოში, ყველა დაბლობ ნაკვეთზე, სადაც სიმინდი იქნება ნათესი, უბრალო წყალსარინი არხები; პასუხისმგებლობა ამის ასრულებისათვის დაეკისროს სათანადო სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებას და სამანქანო-სიტრაქტორო სადგურებს.

14. ჩატარებულ იქნას დაუყოვნებლივ ყველა რაიონში მხოლოდ ნახნავისა და ზამთრის ნახნავის ფარცხვა, რაც უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს აპრილის 1—5-ისა.

15. ჩატარებულ იქნას ყველა რაიონში უშუალოდ თესვის დაწყების წინ ნიადაგის მუყაითი თესვისწინა დამუშავება (გადახვნა, აოშვა, ფარცხვა, კულტივაცია) ისე, რომ მიღებულ იქნას ნიადაგის გამოყვანა და მოსწორება და აგრეთვე სარეველის მოსპობა.

16. ბამბისა, შაქრის კარხლისა, თამბაქოს და სხვა კულტურების თესვის რაიონობითი ვადები, რაც დადგენილია საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ, დამტკიცებულ იქნას. საგაზაფხულო თავთავიანი კულტურებისა და ბალახის თესვა დამთავრებულ იქნას 7—10 სამუშაო დღის განმავლობაში.

17. ყველა მძიმე ნიადაგზე და პირველ რიგში იქ, სადაც მიწის პირი გაქერქებულია, ჩატარებულ იქნას სიმინდის ნათესის ფარცხვა „ზიგ-ზავის“ ფარცხით, პირველი ორი წყვილი ფოთლის გამოჩენის შემდეგ.

18. მრავალწლიან ნარგავთა ჩაყრისა და რემონტის რაიონობითი ვადები, რაც განსაზღვრულია საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის მიერ, დამტკიცებულ იქნას.

წინადადება მიეცეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) საოლქო კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) რაიონულ კომიტეტებს განსაზღვრონ რაიონების შიგნით საგაზაფხულო კულტურების თესვისა და მრავალწლიანი ნარგავების ჩაყრის დაწყებისა და დამთავრების დიფერენცირებული ვადები ცალკეული ზონების და სასოფლო საბჭოებისათვის, თვითეული მასივის თავისებურებათა ანგარიში მიღებით.

19. განსაზღვროს გეგმა გადარჩეული, ერთტიპოვანი ადგილობრივი მოსავლიანობის სიმინდის (იმერული ჰიბრიდი, ნახევარკბილმავარი ჯიში, ცხენისკბილა („კონსკი ზუბ“) თესვისა აბაშის რაიონის კოლექტიურ მეურნეობებში—7.000 ჰექტ. ფართობზე, მისა ცხაკაიას რაიონის კოლექტიურ მეურნეობებში—3.500 ჰექტ. ფართობზე, მარტივილის რაიონის კოლექტიურ მეურნეობებში—2.000 ჰექტ. ფართობზე ხობის რაიონის კოლექტიურ მეურნეობებში—4.500 ჰექტ. ფართობზე, და ლანჩხუთის რაიონის კოლექტიურ მეურნეობებში—6000 ჰექტ. ფართობზე, სულ—23.000 ჰექტარზე.

20. დავეალოს ავტონომიურა რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) საოლქო კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) რაიონულ კომიტეტებს—უზრუნველყონ, რათა ყველა კოლექტიურ მეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში გამოყოფილ იქნას ნაკვეთები მარცლოვანი კულტურების ჯიშისანი, გაუმჯობესებული და გადარჩეული თესლით დათესვისათვის. სათესლედ გამოსაყოფი ნაკვეთების ოდენობა განსაზღვროს: ა) კოლექტიურ მეურნეობებში—საშემოდგომო ხორბლისათვის—17.230

ჰექტ., საშემოდგომო ქერისათვის—1.490 ჰექტ., საგაზაფხულო ხორბლისათვის—6.410 ჰექტ., საგაზაფხულო ქერისათვის—8.120 ჰექტ., სიმინდისათვის—6.750 ჰექტ.; ბ) მეცხოველეობის ტრესტის საბჭოთა მეურნეობებში—საშემოდგომო ხორბლისათვის—925 ჰექტ., საშემოდგომო ქერისათვის—495 ჰექტ., სიმინდისათვის—20 ჰექტ., საგაზაფხულო ქერისათვის—420 ჰექტ. და შვრიისათვის—180 ჰექტ.

ყველა დანარჩენ საბჭოთა მეურნეობაში სათესლედ გამოსაყოფი ნაკვეთების ოდენობა უნდა შეადგენდეს საშემოდგომო ხორბლისათვის—12 პროცენტს და შვრიისა და ქერისათვის—13 პროც., საგაზაფხულო ხორბლისათვის—15 პროც. და სიმინდისათვის—3,5 პროცენტს ამ კულტურების ნათესი ფართობისას.

სათესლე ნაკვეთები საგაზაფხულო კულტურებისათვის აღმოსავლეთ საქართველოში მთლად დათესილ უნდა იქნას მძრალად ნახნავე,

21. წინადადება მიეცეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) საოლქო კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) რაიონულ კომიტეტებს გადასინჯონ საგაზაფხულო კულტურების განთესვის არსებული ნორმები გადიდების თვალსაზრისით და დააწესონ განთესვის ისეთი დიფერენცირებული ნორმები, რაც უზრუნველყოფს კულტურების საჭირო სიხშირეს.

განთესვის დიფერენცირებული ნორმების განსაზღვრის დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას თესლის ჯიში და ხარისხი, ნიადაგისა და კლიმატური პირობები, ნიადაგის დამუშავება, თესვის ვადები, ნაკვეთების სარეველით მოდების ოდენობა, ის კულტურა, რაც საგაზაფხულოზე წინ იყო დათესილი, და თესვის მეთოდები (მწკრივად, გაფანტვით).

22. ჩატარებულ იქნას ყველა საბჭოთა მეურნეობის და კოლექტიური მეურნეობის სათესლე მასალის სავალდებულოდ თვისებითი შემოწმება სათესლესაკონტროლო ლაბორატორიებში. ანალიზისათვის თესლის ნიმუშების გადარჩევა დაეკისროს კოლექტიურ მეურნეობებში აგრონომებს კოლექტიური მეურნეობის თავმჯდომარის თანადასწრებით და სათანადო აქტის შედგენით. მარცვლოვანი კულტურების თესლი, რომლის ამოსვლაუნარიანობა 90 ჰექტარზე ნაკლებია, არ უნდა იქნას მიღებული თესვისათვის და უნდა გაიცვალოს საკონდიციო თესლზე.

იმ სათესლე მასალის განთესვის ნორმა, რომელიც საკონდიციო ამოსვლაუნარიანობით და სიწმინდით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ვარგისობით 100 პროცენტზე ნაკლებია, გადიდებულ უნდა იქნეს ვარგისობის დანაკლი პროცენტით.

23. აიკრძალოს ხორბლისა, ქერისა, შვრიისა და ფეტვის დაუწამლევი თესლის თესვა.

თესლის დაწამლევა უნდა სწარმოებდეს აგრონომების ხელმძღვანელობით და დაწამელის შესახებ აქტის სავალდებულო შედგენით; აქტს ხელს აწერენ აგრონომი, კოლექტიური მეურნეობის თავმჯდომარე და საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

24. დაევალოს კოლექტიური მეურნეობების თავმჯდომარეებს და საკომიტეო მეურნეობების დირექტორებს: ა) გასცენ ხოლმე სათესი მასალა დასათესი ფართობისა და განსაზღვრული განთესვის ნორმის სრული შესაბამისობით; ბ) თესლი გასცენ მარტოოდენ აწონვით; გ) დააწესონ კონტროლი თესლის დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის.

25. დამტკიცებულ იქნას საკოლმეურნეო მინდვრებზე 1936 წ. გაზაფხულისათვის ნაკელის გატანის გეგმა 1.950 ათასი საზიდავის რაოდენობით. დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში, აფხაზეთის ასსრ-ში და აჭარის ასსრ-ში ნაკელი პირველ ყოვლისა გატანილ უნდა იქნას ციტრუსოვანი კულტურებისა და ჩაისათვის, ხოლო სხვა რაიონებში—შაქრის ჭარხლისათვის, ბოსტნებისა, ვენახებისა, ხილის ბაღებისა, მრავალწლიან ნარგავთა სანერგეებისა და მარცლოვანი კულტურებისათვის.

26. ჩატარებულ იქნას თავთავიანი კულტურების (საშემოდგომოსი და საგაზაფხულოსი) ხელით მარცვლა მთელ ნათესს ფართობზე იქამდე, ვიდრე ნათესი სავსებით განთავისუფლდება სარეველისაგან.

27. სინოტივის შენარჩუნებისა, სარეველა მცენარეულობასთან ბრძოლისა და ნიადაგის ჰაერაციისათვის საუკეთესო პირობების შექმნის მიზნით ჩატარებულ იქნას აღრეულ გაზაფხულზე (მინდვრად გასვლის პირველ შეძლებისთანავე) საშემოდგომო თავთავიანი კულტურების ნათესის ფარცვა „ზიგ-ზაგის“ ფარცვით 40.000 ჰექტ. ფართობზე.

28. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, აფხაზეთის ასსრ-ისა, აჭარის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამიწათმოქმედო ორგანოებს, სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებებს, საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს მოაწიონ სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა, ბამბისა, თამბაქოს, შაქრის ჭარხლისა, ჩაისა, ციტრუსებისა, ვენახებისა, ხილის ბაღებისა, ბოსტნებისა, მარცლოვანი კულტურებისა და სხვ. მისთ. მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლა იმ ფართობზე, რომელზედაც მოდებულია მავნებელი და სენი.

29. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) რაიონულ კომიტეტებს—შეამოწმონ და მოიყვანონ საეარგისო მდგომარეობაში საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის საირრიგაციო სისტემების ქსელი.

30. იაროვიზირებული თესლით ნათესი ფართობების გაფრცელების მიზნით წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—მოამზადოს 1936 წელს აგრონომები და ბრივადირები—იაროვიზატორები ხაშურისა, გორისა, ახალქალაქისა, კასპისა, ბოგდანოვისა და წალკის რაიონებისათვის.

31. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი, აყენებენ-სა კოლექტიური მეურნეობებისა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების წინაშე მთავარი ამოცანის სახით 1936 წელს ყველა კულტურის მოსავლიანობის თვალსაჩინოდ გადიდებას, ამტკიცებენ დავალებათ მოსავლიანობის ხაზით საშუალოდ რაიონისა, ავტონომიური ოლქისა და ავტონომიური რესპუბლიკისათვის (ცენტრნობით 1 ჰექტარზე) (იხ. დანართი № 3).

წინადადება მიეცეს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) საოლქო კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) რაიონულ კომიტეტებს დადიფერენციონ განსაზღვრული საშუალო მოსავლიანობა ცალკეულ სასოფლო საბჭოებზე და კოლექტიურ მეურნეობებზე.

32. დამტკიცებულ იქნას ნასვენის მოხვნის გეგმა კოლექტიური მეურნეობებისათვის 46.900 ჰექტარის რაოდენობით; ამ რიცხვში: მაისის 1-მდე—25.000 ჰექტარის რაოდენობით და მაისში—21.900 ჰექტ. რაოდენობით.

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემის საბჭოთა მეურნეობებისათვის ნასვენის მოხვნის გეგმა დამტკიცდეს 2.290 ჰექტ. რაოდენობით; აქედან მეცხოველეობის ტრესტისათვის—1.500 ჰექტ.; საქ. ცხენსაშენის სამმართველოს საბჭოთა მეურნეობისათვის—790 ჰექტ., ამ ნასვენის მოხვნა დამთავრებულ იქნას მაისის 1-მდე.

მიეთითოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს, რომ ნასვენის მოხვნისათვის დადგენილი ვადები ზღვრულია; ამასთან დაკავშირებით წინადადება მიეცეთ მათ—გადასინჯონ ეს ვადები მაქსიმალური შემცირებისა და მაისში მოსახნავის თვალსაჩინო ნაწილის მარტ—აპრილში გადატანის მიზნით.

33. წინადადება მიეცეს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს და კოლექტიური მეურნეობების თავმჯდომარეებს უზრუნველყონ ნახნავთა დაფარვა მოხვნისათანავე და შემდგომი მუყაითი მოვლა: სარეველის გაწმენდა გამოჩენისათანავე, არა ნაკლებ, ვიდრე ორჯერ დამუშავება (კულტივაცია და გადახვნა), ხოლო სარეველა მოდებულ ნაკვეთებზე არა ნაკლებ, ვიდრე სამი დამუშავება ზაფხულის განმავლობაში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებენ ყველა პარტიულ, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს და კოლექტიური მეურნეობების გამგეობებს—დაუყოვნებლივ გაშალონ ბრძოლა ყველა კულტურის მოსავლიანობის აღმავლობისათვის და საგაზაფხულო თესვის და მრავალწლიან ნარგავთა გაშენების სახელმწიფო გეგმების მთლად შესრულებისათვის; ამასთანავე, აფრთხილებენ მათ, რომ მათი მუშაობა, შეფასებული იქნება ამ გეგმების ასრულების შედეგთა მიხედვით.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარის მოადგ. ბ. მდივანი.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი ვ. ბაქრაძე.

დანართები.

ა) მიწათმოქმედების სახალხო კომისიის სახელმძღვანელოების საბჭოს მიერ შემუშავებული
კოლექტიური მიწის ნაკვეთების და ერთპიროვნულ სექტორში
(ჰექტარობით)

კულტურები	ს მ უ	ა ქ ე დ ა ნ				ინდივიდუალ. მიწის და კოლმეურნეთა საკარმიდამო მიწები
		მიწის ნაკვეთის სტრუქტურის საბჭოს მიერ შემუშავებული	კოლმეურნეობა.	მათ შორის		
				კოლმეურ., რომელთაც მოქმადობს უწყვეტ მტს	კოლმეურ., რომელთაც მტს მოქმადობს არ უყ.	
გაზაფხულის ნათესი ფართობი (წინა წლების ნათესი ბალახების ჩათვლით)	675733	14127	381864	240015	141849	299742
გაზაფხულის თესვის გეგმა (წინა წლების ნათესი ბალახების გამო- კლებით)	665819	12013	375364	234615	140749	278442
ა) მარცვლეული კულტურები	546672	6172	300295	177075	123220	240205
მათ შორის:						
1) ხორბალი	58155	155	30020	11715	18305	27980
2) ქერი	79859	2359	40830	21740	19090	36170
3) სიმინდი	386894	1094	217705	135920	81735	168095
4) ფეტვი	7098	798	4990	4440	550	1310
5) ასლი	6730	—	3240	1220	2020	3490
6) შერია	3968	1268	1515	965	550	1185
7) დანარჩენი მარცვლეუნი	2407	437	770	330	440	1200
8) პარკოვანი	2061	61	1225	745	480	775
ბ) ტექნიკური	42970	1545	31373	27491	3880	10054
მათ შორის:						
1) ბამბა	4500	—	3636	3636	—	864
2) თამბაქო	19400	—	11275	8345	2930	8125
3) შაქრის კარხალი	5000	—	5000	5000	—	—
4) მზისუბნირა	9637	937	8110	8070	40	590
5) არახისი	1000	—	1000	875	125	—
6) სელი	1038	38	790	450	340	210
7) ბოლოცა	770	—	505	210	295	265
8) კანაფი	70	70	—	—	—	—
9) ჰერაბი	800	500	300	250	50	—
10) პერილა	600	—	600	500	100	—
11) ლუფა	155	—	155	155	—	—
გ) ბოსტნეულ-ბაზიჩეული	37553	413	13530	9020	4510	23610
მათ შორის:						
1) კარტოფილი	19473	83	5640	2815	2825	13750
2) ბოსტანი	15553	308	6260	4746	1515	8990
3) ბალჩა	2527	27	1630	1460	170	870

კულტურები	ს უ ლ	ს ქ ე რ ა ნ				ინდივიდუალ. მეურნ. და კოლმეურნეობა საკარმიდამო მიწებზე
		მიწსაბკომის სიტემის საბკოთა მეურნეობა	კოლმეურნეობ.	მათ შორის		
				კოლმეურნ. კოლმეობა მტს მომსახურ. არ უწ.	კოლმეურ. რაომეობა მტს მომსახურ. არ უწ.	
დ) საკვები კულტურები მათ შორის:	38624	3883	30168	21029	9139	4573
1) ერთწლიანი ნათესი ბალახები	30650	2461	23887	16669	7218	4302
2) მრავალწლიანი ნათესი ბალახები	2344	680	1419	1195	224	245
3) ძირფესვენაყოფები	1619	204	1389	1018	371	26
4) ნათესი სილოსისათვის	4011	538	3473	2147	1326	—
ე) წინაწლების ნათესი ბალახები	9914	2114	6500	5400	1100	1300
ლობიო რიგთა შორის წმინდა ნათესზე გადაყვანით	25000	—	14850	8080	6770	10150
ს ო ბ ა	25000	—	14770	10220	4550	10230

ბ) მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემის გარეშე მყოფ საბკოთა მეურნეობებში და მუშათა მომარაგების განყოფილებათა მეურნეობებში (ჰექტარობით)

კულტურები	ს უ ლ ჰექტარ.	მათ შორის		
		გემო-კვების საბკო-მატი	მძიმე მრეწვ. საბკომ.	ბათა სა-ბკომატი
გაზაფხულის ნათესი ფართობი [წინა წლების ნათესი ბალახების ჩათვლით	14077	2790	400	556
გაზაფხულის თესვის გეგმა [წინა წლ. ნათ. ბალახ. გამოკლ]	12991	2725	396	493
მათ: შორის				
I) მარცვლეული კულტურ	7665	771	99	218
აქედან: ჭერი	399	—	2	20
სიმინდი	5680	684	97	178
II) ტექნიკური	879	597	—	12
აქედან შაქრის ჭარხალი	587	587	—	—
III) ბოსტნეულ-ბალჩეული	2291	269	187	202
IV) საკვები კულტ. [წინა წლის ბალახების გამოკლედ.	2166	1088	114	61
მათ შორის:				
ა/წ. ნათესი ბალახები	1786	1023	91	37
V) წინა წლებ. ნათესი ბალახ.	1086	65	4	63

გვ. 90
— 200 —
№ 15
— 201 —
გვ. 90

კულტურები

კულტურები	ზომის ერთეული	სულ	მათ შორის				საკარმიდამო ნავეთებზე
			მიწისაგომ. სისტემის საბჭ. მეურნეობები	კოლმეურნეობ.	მათგან		
					მტს მომ-სანურ. კო-ლექტურხე-ობებში	მტს მომ-სან-გარეშ. მყოფი კო-ლმეურნ.	
1. ჩისათვის ნიადაგის მომზადება	ჰექტ.	1800	—	1800	1905	495	—
2. ჩის თესვა	"	1700	—	1700	1275	425	—
3. ვენახის ჩყრა	"	255	31	224	121	100	—
4. ხეილის დარგვა	"	3021	21	2456	1349	1107	544
5. ციტრუსების დარგვა	"	298,0	54,5	189,4	99,9	39,5	104,1
მათ შორის: მანდარინი	—	224,5	33	109,4	82,9	26,5	82,1
ლიმონი	"	51	14	28	15	13	19
დანარჩენი	"	12,5	7,5	2	2	—	5
6. ტუნგის დარგვა	"	2605	105	2500	1685	815	—
7. რამის	"	500	100	400	370	30	—
8. იაპონურ ხურმის დარგვა	"	28	—	28	22	5	—
9. ფეიხოსი	"	11,69	4,69	7	6	1	—
10. მუშულის დარგვა	"	10,5	5,5	5	1,5	3,5	—
11. დანარჩ. სუბტროპ. ხეხ. დარგვა	"	2,5	2,5	—	—	—	—
12. ბამბუკის დარგვა	"	1,5	1,5	—	—	—	—
13. დაფნის	"	70	—	70	60	10	—
14. თუთის დათესვა	"	2	2	—	—	—	—
15. ქარსაფარავი ნარგავების დარგვა	კილომ.	93	93	—	—	—	—
16.	ჰექტარი	10	10	—	—	—	—
17. ეკვალიტების დარგვა ვარშემო	ათ. ცალ.	6	6	—	—	—	—

18. ეკვალიტების დარგვა	ათ. ცალ.	27	27	—	—	—	—
19. სხლტე	კილომ.	21	21	—	—	—	—
20. ამერიკული ვაზის სადღე	ჰექტ.	188,5	2,5	186	98	38	—
21. ჩის სანერგების გაშენება	"	68,4	—	68,4	60,5	7,9	—
22. ციტრუსების დარგვა	"	192,15	54,95	137,2	100	37,2	—
23. ვენ ხის	"	132,9	40	92,9	68	24,9	—
24. ხეილის	"	55	26	29	13,5	10,5	—
25. იაპონური ხურმის დარგვა	"	20	—	20	11,5	8,5	—
26. ფეიხოსი	"	5	—	5	4,5	0,5	—
27. ბროწეულის	"	12	—	12	10	2	—
28. ლეღვის	"	20	—	20	15	5	—
29. კაგლის	"	10	—	10	8	2	—
30. დან. სუბტრ. ხეილის	"	11,4	11,4	—	—	—	—
31. რამის დარგვა	"	25	3	22	21	1	—
32. ეკვალიტის დარგვა	"	3	3	—	—	—	—
33. საძირვების თესვა	"	1,25	1,25	—	—	—	—
34. ჩის პლანტაც. აღდგენა	"	459,6	—	459,6	442,2	17,4	—
35. ჩის კაპიტ. რემონტი	"	1213	1	1213	1045	167	—
36. ვენახის	"	194,5	177	17,5	7	9,5	—
37. ხეილის ბაღების	"	170	20	150	94	56	—
38. ციტრუსების	"	22,9	—	—	—	—	—
39. ციტრუსების	ძირი	8084	8084	—	—	—	—
40. ხურმის	"	1507	1507	—	—	—	—
41. ფეიხოსი კაპ. რემ.	"	50	50	—	—	—	—
42. დანარჩენ სუბტრ. ხეილის	ჰექტ.	2	2	—	—	—	—
43. ტუნგის გაშენ.	ათ. ძირ.	2,6	2,6	—	—	—	—
44. ტუნგის გაშენ.	ჰექტ.	120	—	120	90	30	—
45. ამერიკ. ვაზის სადღეების გაშენ	"	48,5	5	48,5	39,5	10	—
46. ეკვალიტების გაშენ.	ათ. ძირ.	1,5	1,5	—	—	—	—
47. ქარსაფარავის	"	1	1	—	—	—	—

რაიონები და ავტონომიები	გაზაფხულ. ბორბალი	გაზაფხულ. ქერი	სიმინდი	შვრია	ფეტვი	1936 წ. შე- მოღ. კობ.	შეიღვ. ქერი	ბამბა	თამბაქო	მზისსუპი
1. ახალქალაქის	10	16,5	—	—	—	—	—	—	—	—
2. ბოგდანოვკის	10	16,5	—	9,5	—	—	—	—	—	—
3. ახალციხის	9	15	15	—	—	12	—	—	—	—
4. ადიგენის	9	15	15	—	—	12	—	—	—	—
5. ასპინძის	8,5	11	15	—	—	11	—	—	—	—
6. ხაშურის	9	9,5	14	9,0	—	12	10,5	—	—	—
7. გორის	9	9,5	15	—	6,0	11	9	—	—	—
8. კასპის	9	9,5	15	7,0	—	10	8,5	—	—	—
9. ბორჯომის	10	15	13	—	—	12	—	—	—	—
10. გურჯაანის	10	—	17	—	7,0	11,5	11	—	8,5	9,0
11. სიღნაღის	—	9,5	17	—	8,0	11,5	11	—	9,0	9,0
12. თელავის	9	9,5	17	—	8,0	11,5	11,5	—	—	—
13. ყვარლის	—	—	25	—	9,0	15,5	14,5	—	9,5	—
14. ლაგოდეხის	—	—	25	—	11,0	18	16,0	—	10,5	10,0
15. ტფილისის	8	8,5	14	8,5	6,0	9,5	9,5	—	—	8,0
16. ყარაიის	—	—	25	—	—	14	12	10,8	—	9,0
17. ბორჩალოს	8,5	9,0	25	—	—	13	13	9,6	9,0	—
18. ლუქსემბურგის	9	10,0	18	11,0	—	12	12	11,9	8,5	—
19. წალკის	10,5	15	—	—	—	—	—	—	—	—
20. დუშეთის	8,5	9,5	13	—	7,5	9,5	10,5	—	—	—
21. ალბულაზის	9,5	12,5	18	12,0	—	12,5	14	—	—	—
22. საგარეჯოს	8	9	16	9,5	7,0	10	10,0	—	—	8,5
23. ბაშკიჩეთის	9	10	16	10,5	—	13	12	—	—	—
24. თიანეთის	8	9	12	—	8,0	8	—	—	—	—
25. ყაზბეგის	—	9	—	—	—	—	—	—	—	—
26. სამხ. ოსეთ, ავტ. ოლქი	9	9,5	14	8,5	—	9	—	—	—	—
27. ქუთაისის	—	—	14,5	—	—	—	—	—	—	—



რაიონები და ავტონომიები	გაზაფხულ. ხორბალი	გაზაფხულ. ქერი	სიმინდი	შვრია	ფეტვი	1936 წ. შე- მოღვ. ხორბ.	შემოღვ. ქერი	ბამბა	თამბაქო	მხისუმბიოზი
28. სამტრედიის	—	—	15	—	—	—	—	—	—	—
29. ხონის	—	—	15	—	—	—	—	—	—	—
30. ვანის	—	—	17,5	—	—	—	—	—	—	—
31. ბაღდადის	—	—	14,5	—	—	—	—	—	—	—
32. ჯუღელის	—	—	14	—	—	—	—	—	—	—
33. ჩხარის	—	—	12,5	—	—	—	—	—	—	—
34. კიათურის	—	—	11,0	7,5	6,0	—	—	—	—	—
35. ხორაგოულის	—	—	10	—	—	—	—	—	—	—
36. ტყიბულის	—	—	9,5	—	—	—	—	—	—	—
37. ონის	—	—	14	—	7,5	—	—	—	—	—
38. ამბროლაურის	—	—	15	—	7,5	—	—	—	—	—
39. ცაგერის	—	—	11	—	—	—	—	—	—	—
40. ქვემო-სვანეთის	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
41. აბაშის	—	—	16,5	—	—	—	—	—	—	—
42. ცხაკაიას	—	—	15	—	—	—	—	—	—	—
43. მარტვილის	—	—	12	—	—	—	—	—	—	—
44. ზუგდიდის	—	—	13,5	—	—	—	—	—	6,5	—
45. ხობის	—	—	16	—	—	—	—	—	—	—
46. წალენჯიხის	—	—	10,5	—	—	—	—	—	6,0	—
47. ჩხორუწყუს	—	—	11	—	—	—	—	—	6,0	—
48. მაზარაძის	—	—	14,5	—	—	—	—	—	—	—
49. ლანჩხუთის	—	—	18,5	—	—	—	—	—	—	—
50. ჩოხატაურის	—	—	11	—	—	—	—	—	6,0	—
51. ზემო-სვანეთის	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
52. ფოთის	—	—	16,5	—	—	—	—	—	—	—
53. აფხაზეთის ასსრ	—	—	13,5	—	—	—	—	—	7,0	—
54. აჭარის ასსრ	—	—	12	—	—	—	—	—	7,0	—
საშუალოდ მთელ რესპუბლიკაში	9,5 ც	12 ც	14 ც	9,0	8,0	115 ც	11 ც	20,2	7,96	9

3 ე ტ ე რ ი ნ ა რ ი ა.

91. დადგენილება ს.კ.ს

საქართველოს სსრ-ში ეკიზოოტიის მხრით არაკეთილსაიმედო ადგილებში კარანტინის დადგენის წესის შესახებ.

„ეკიზოოტიის მხრით არაკეთილსაიმედო რაიონებში კარანტინის დადგენის წესის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. მარტის 29-ის დადგენილების განსავითარებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

კარანტინის დადგენა მთელ რაიონზე შეიძლება მხოლოდ სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გადაწყვეტილებით, კარანტინის დადგენა მთელ სოფელზე შეიძლება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, ხოლო აგრეთვე ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში—ამ რესპუბლიკების და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებით, რაც აუცილებლად უნდა ეცნობოს სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც დაყოვნება შეუძლებელია, შეუძლია, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის;—თავმჯდომარის პირადი პასუხისმგებლობით, დაადგას კარანტინი მთელ სოფელს ამასთანავე, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ან ავტონომიური რესპუბლიკის თუ ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, კუთვნილებსამებრ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. მდივანი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი ვ. კვირიკაძე.

1936 წ. მაისის 17. № 541.

ტფილისი.

ვაჭრობა. მომარაგება.

92. დადგენილება ს.კ.ს.

კოლექტიური მეურნეობების მიერ-კონტრაქტაციის წესით და საბჭოთა მეურნეობების მიერ-სახელმწიფო გეგმების წესით სამყურა-ბალახის თესლის საგადაღებულად ჩაბარების შესახებ.

„კოლექტიური მეურნეობების მიერ—კონტრაქტაციის წესით და საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფო გეგმის წესით სამყურა-ბალახის თესლის სა-

ვალდებული ჩაბარების შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისიის სართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წ. მარტის 31-ის დადგენილებისა და ამ აქტის განსავითარებლად გამოცემული, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. აპრილის 26-ის თარიღის და 98 №-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სახელმწიფოსათვის სამყურა-ბალახის თესლის ჩაბარება დაეკისროს იონჯის ნათესის მქონე ყველა კოლექტიურ მეურნეობას კონტრაქტაციის ხელშეკრულების წესით და საბჭოთა მეურნეობებს—სახელმწიფო გეგმის წესით.

2. დაწესებულ იქნას სამყურა-ბალახის თესლის ჩაბარების შემდეგი ნორმა: კოლექტიური მეურნეობებისათვის კონტრაქტაციის ხელშეკრულების მიხედვით—3 კილოგრამი თვითეულ ჰექტარ სამყურა-ბალახის სათიბ ფართობზე, ხოლო საბჭოთა მეურნეობებისათვის—სახელმწიფო გეგმის წესით—5 კილოგრამი თვითეულ ჰექტარ სამყურა-ბალახის სათიბ ფართობზე.

3. სამყურა-ბალახის თესლის კონტრაქტაციით დამზადების გეგმის შესასრულებლად და აგრეთვე 1937 წელს სამყურა-ბალახის თესვის უზრუნველსაყოფად—დატოვებულ იქნას თესლისათვის წარსული წლების სამყურა-ბალახის ნათესები 399 ჰექტარის რაოდენობით, აქედან: კოლექტიურ მეურნეობებში—335 ჰექტარი და საბჭოთა მეურნეობებში—64 ჰექტარი.

4. საქართველოს სსრ-ში სამყურა-ბალახის თესლის კონტრაქტაციით დამზადების გეგმა განისაზღვროს 20 ცენტნერის რაოდენობით; აქედან:

კონტრაქტაციით კოლექტიურ მეურნეობებში.

საბჭოთა მეურნ. მიერ—საბჭ. მეურნ. და კოლექტ. მეურნეობ. დანამზადთან ერთად ჩაბარების შემდეგ,—ჩაბარებისათვის დადგენილი გეგმის ზედმეტად.

10 ცენტნერი.

10 ცენტნერი.

სამყურა-ბალახის თესლის კონტრაქტაციის რაიონობითი გეგმები და საბჭოთა მეურნეობების მიერ ჩასაბარებელი თესლის გეგმები დამტკიცებულ იქნას ამასთანავე დართულ ცხრილის მიხედვით (იხ. დანართი).

5. დაწესებულ იქნას, რომ სახელმწიფოსათვის სამყურა-ბალახის თესლის მიშყიდველი კოლექტიური მეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, სახელმწიფოს წინაშე თავიანთ ვალდებულებათა შესრულებისას, მიიღებენ პრემია-წანამატს შემდეგი რაოდენობით:

უკეთუ მიშყიდიან ერთ ცენტნერამდე—სადამზადებლო ფასის	25%
„ „ 1-დან 3-მდე ცენტნ.	50%
„ „ 3 მეტ.	100%

6. სამყურა-ბალახის თესლის კონტრაქტაცია დაეკისროს მეთესლეობის კოლექტიურ მეურნეობათა ქსელის რაიონებში (გორის და ქუთაისის რაიონები და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი)—„სახჯიშფონდს“, სამტრედიის რაიონში, აფ-

ხაზეთის ასსრ-ში და აჭარის ასსრ-ში— „ზაგოტზერნო“—ს საქართველოს კონტორას უშუალოდ, ხოლო დანარჩენ რაიონებში (წალკისა, ბაშკიჩეთისა, წულუკიძისა; ამბროლაურისა და ონის რაიონებში)— „ცეკავშირს“, „ზაგოტზერნოს“ საქართველოს კონტორასთან ხელშეკრულების დადებით.

7. დაველოს:

ა) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებსა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის სარაიონო რწმუნებულებს, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში—სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულებს ამ რესპუბლიკებსა და ოლქში—უზრუნველყონ საბჭოთა მეურნეობებისათვის სამყურა-ბალახის თესლის ჩაბარების შესახებ შეტყობინებათა ჩაბარება 1936 წ. მაისის 15-მდე;

ბ) „სახჯიშფონდს“, „ზაგოტზერნოს“ საქართველოს კონტორას და „ცეკავშირს“—დაამთავრონ 1936 წ. მაისის 15-ისათვის სამყურა-ბალახის თესლის კონტრაქტაცია კოლექტიურ მეურნეობებში.

8. წინადადება მიეცეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში—მისცეს 2 დღის ვადაზე სათანადო ორგანიზაციებს მითითებანი სამყურა-ბალახის თესლის კონტრაქტაციისა და დამზადების შესახებ.

9. შენარჩუნებულ იქნას წესი სამყურა-ბალახის თესლის მიღებისა სახელმწიფოსათვის სავალდებულო მიწოდებათა ანგარიშში სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. მარტის 27-ის დადგენილების შესაბამისად, ე. ი. 1 ფუთი სამყურა-ბალახის თესლი 4 ფუთ მარცვლეულზე.

10. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—შემუშაოს, სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წ. მარტის 31-ის დადგენილების შესაბამისად, აგროლონისძიებანი სამყურა-ბალახის თესლის მოსავლიანობის გადიდებისათვის და 5 დღის ვადაზე მააწოდოს სახელმძღვანელოდ ადგილებს, თანაც უზრუნველყოს ამ ღონისძიებათა განხორციელება.

11. სამყურა-ბალახის თესლის დამზადების დამთავრების ვადა დაინიშნოს: კოლექტიური მეურნეობებისათვის—1936 წ. ოქტომბრის 20, ხოლო საბჭოთა მეურნეობებისათვის—1936 წ. ოქტომბრის 10.

12. დაწესებულ იქნას, რომ სამყურა-ბალახის თესლის საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებს აქვს კანონის ძალა. და ეს ხელშეკრულებები სავალდებულოა ზედმიწევნით და უცილობლად ასრულებისათვის როგორც კოლექტიური მეურნეობებისა, ისე დამზადებელი ორგანიზაციების მიერ, და რომ ამ კანონის დამრღვევნი პასუხს აგებენ სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების კანონის ძალის მქონე აქტებად აღიარებისა და ამ ხელშეკრულებათა

დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ გამოცემული 1935 წ. სექტემბრის 21-ის დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1935 წ. 51 №-ი, მუხ. 422).

18. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აფრთხილებს სამიწათ-მოქმედო ორგანოებს, სახალხო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და დამზადებელ ორგანოებს („ზაგოტზერნო“, „სახჯიშფონდი“ და „ცეკავშირი“), რომ ისინი სამეურა-ბალახის თესლის დამზადების სახელმწიფო დავალებათა შესრულებისათვის პასუხს აგებენ ისევე, როგორც მარცვლოვანი და ტექნიკური კულტურების დამზადების დავალებათა შესრულებისათვის.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველის მოადგ. ს. მებუჯე.

1936 წ. მაისის 8. № 468.

ტფილისი.

დანართი

იონჯის თესლის კოლექტიურ მეურნეობებში კონტრაქტაციის რაიონობით გეგმა და საბჭოთა მეურნეობების ჩაბარების გეგმა.

1. კოლექტიური მეურნეობების კონტრაქტაციის გეგმა

რაიონების დასახელება	სამეურა-ბალახის სათესლეზღად დატოვებული ფართობი ჰექტარობით.	ჩაბარების ნორმა (ცენტნერობით)	ჩაბარების გეგმა (ცენტნერობით)
1. გორის	5	0,03	0,15
2. წალკის	30	—	0,90
3. ბაშკიჩეთის	60	—	1,8
4. სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი.	45	—	1,35
5. ქუთაისის	5	—	0,15
6. სამტრედიის	30	—	0,9
7. წულუკიძის	15	—	0,45
8. ამბროლაურის	15	—	0,45
9. აფხაზეთის ასსრ	80	—	2,4
10. აჭარის ასსრ.	25	—	0,75
11. ონის რაიონი	25	—	0,75
	335	—	10,05

2. საბჭოთა მეურნეობების მიერ ჩაბარების გეგმა

საბჭოთა მეურნეობების სახელ- წოდება	სამეურნეო-ბალახის სათიბი ფარ- თობი (ჰექტა- რობით)	ჩაბარების ნორმა (ცენტნერობით)	ჩაბარების გეგმა (ცენტნერობით)
1. ბაშკირეთის მეცხოველეობის ტრესტი.	4	0,5	0,20
2. სამხრეთ-ოსეთის ავტონომ. ოლქის საბჭ. მეურნ. ტრესტი.	6	—	0,30
3. აფხაზეთის ასსრ საბჭ. მეურნ. ტრესტი	30	—	1,50
4. აფხაზ. ასსრ სხვა საბჭ. მეურნეობანი	24	—	1,20
	64	—	3,20

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

93. დადგენილება ს.კ.ს.

პროლეტარული ტურიზმის ალპინიზმისა და ექსკურსიების საქართველოს საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ.

„პროლეტარული ტურიზმის, ალპინიზმისა და ექსკურსიების სრულიად საკავშირო საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1936 წ. აპრილის 17-ის დადგენილების თანახმად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ლიკვიდირებულ იქნას პროლეტარული ტურიზმის, ალპინიზმისა და ექსკურსიების საქართველოს საზოგადოება და ამ საზოგადოების საქმეთა და ქონების ლიკვიდაციისათვის მოეწყოს კომისია შემდეგი შედგენილობით: ამხ. თ. ქლენტი (თავმჯდომარე), გ. სტურუა (ამხ. პუგაჩოვის მიერ შეცვლით), დგებუაძე (ლ ა კ კ ც კ), მილშტეინი (ფ კ უ ს) და ჯიბლაძე (საქპტაეს).

2. გადაეცეს სრულიად საკავშირო პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს ტურიზმისა და ექსკურსიების მთავარ სამმართველოს პროლეტარული ტურიზმის, ალპინიზმისა და ექსკურსიების სრულიად საკავშირო საზოგადოების კავკასიის მარშრუტების ყოფილი სამმართველოს ყველა ბაზა, მათ შორის ის ბაზებიც, რაც დაებრუნა საქპტაეს-ბას 1935 წელს, და აგრეთვე ტურიზმის სახლი ტფილისში.

გამოყოფილ იქნას საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს გამგებლობაში ადგილობრივი ტურიზმისა და ექსკურსიების საქართველოსათვის 25 ადგილი ტფილისის ტურიზმის სახლში.

3. საქპტაეს-ბის საქმეთა და ქონების ლიკვიდაცია ჩატარებულ იქნას სრულიად საკავშირო პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოს და სრულიად საკავშირო პტე-ს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს მიერ 1936 წ. მაისის 3-ს დამტკიცებული ინსტრუქციის თანახმად.

ლიკვიდაცია დამთავრებულ იქნას არა უგვიანეს 1936 წ. ივნისის 1-ისა.

4. განცხადებულ იქნას თანხმობა სრულიად საკავშირო პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოს გადაწყვეტილებაზე, რომ საქართველოს პროფესიონალურ საბჭოსთან მოეწყოს ადგილობრივი ტურიზმისა და ექსკურსიების სამმართველო.

მიღებულ იქნას ცნობად, რომ საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა ამ სამმართველოს უფროსის თანამდებობის დროებით აღსრულება დააკისრა აშხ. ჭილოჩავას.

5. მიზანშეწონილად იქნას ცნობილი, რომ სამყოფელი ადგილი სრულიად საკავშირო პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოს ტურიზმისა და ექსკურსიების მთავარ სამმართველოს ორგანოს, რომელიც განაგებს საერთო-საკავშირო მნიშვნელობის მქონე მარშრუტებს, ჰქონდეს ტფილისში.

დაევალოს ტფილისის საქალაქო საბჭოს—ხელი შეუწყოს ამ ორგანოს სათანადო სადგომის მოძებნაში.

6. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. დეკემბრის 8-ის თარიღის და 1671 №-ის დადგენილება გაუქმებულ იქნას.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. შლივანი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი ვ. კვირიკაძე.

1936 წ. მაისის 17. № 522.

ტფილისი.

სისხლის სამართალი

94. დადგინილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 84 მუხლის პირველი ნაწილის შეცვლის შესახებ.

„დაწესებული პასპორტის უქონლად ან სათანადო ხელისუფლების ნებადურთველად სსრ კავშირიდან საზღვარგარეთ გასვლისა ან სსრ კავშირში შემოსვლისათვის სანქციების გაძლიერების შესახებ“ გამოცემული, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1935 წ. მარტის 14-ის დადგენილების შესაბამისად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს
საბჭოთაო
საგარეო
აღმართობის
საგარეო
საქმეთა
საგარეო
საქმეთა
საგარეო
საქმეთა

სისხლის სამართლის კოდექსის 84 მუხლის პირველი ნაწილი მიღებულ იქ-
ნას შემდეგი რედაქციით:

„84 (ნაწ. 1). დაწესებული პასპორტის უქონლად ან სათანადო ხელისუფ-
ლების ნებადართვებლად სსრ კავშირიდან გასვლა ან სსრ კავშირში შემოსვლა
გამოიწვევს.

თავისუფლების აღკვეთას ერთი წლიდან სამ წლამდე“.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ საქ. ც.ა.კ.-ის მდივანი თ. ჟღენტი.

1936 წ. მაისის 11. № 140/560.

ტფილისი.

ფახი 40 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს.-ის 1936 წ. № 29. 3/მ. რედაქტორი მ. გამრამაძე
საქმ. მმართველობა

ქალაქის ფორმატი 62X94 სმ.; 1³/₄ ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48,500 სტამბ. ნიშანი
გადაეცა სტამბას 27/V; ხელმოწერილია დასაბეჭდად ტირაჟი 1.900

თავლ. რწმ. № 87062 საქ.სახ.კომ.საბჭოს საქმ. მმართველ. სტამბა, ტფილისი. დაკვ. № 514